

აკადემიური ცოდნის შემოწმება და შეფასება

რა არის შეფასება?

შეფასება შეიძლება განვიხილოთ, როგორც შესაფასებელი პარამეტრების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიღების, იდენტიფიცირებისა და მართვის გამჭოლი პედაგოგიური სისტემა, ანუ შეფასება არ გულისხმობს მხოლოდ ხარისხის იდენტიფიცირების მომენტს, ის მოიცავს მომზადების პროცესს ამ მომენტისათვის და განსაზღვრავს ახალი პედაგოგიური ამოცანის ფორმირებისა და პედაგოგიური სტრატეგიის კორექციის პერსპექტივას.

შეფასების ძირითადი პრინციპები:

1. **გამჭვირვალობის პრინციპი** – ინფორმაცია შეფასების მეთოდებსა თუ კრიტერიუმებზე ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სტუდენტმა წლის დასაწყისშივე უნდა იცოდეს როდის და როგორ შეაფასებენ მისი ცოდნა-ჩვევების ამა თუ იმ პარამეტრს.
2. **სისტემატურობის პრინციპი** – შეფასება არ არის ერთჯერადი აქტი. ის გეგმაზომიერი პროცესია, რომელიც სწავლის ერთიანი მოტივაციური სისტემის ელემენტია – სტუდენტს გამოუმუშავებს მუდმივ მზაობას გამოავლინოს და განსაზღვროს საკუთარი შრომის ეფექტიანობა, ხოლო პედაგოგს – განახორციელოს მონიტორინგი სტუდენტის ცოდნის შეძენისა და განვითარების პროცესზე.
3. **სამართლიანობის პრინციპი** – მიდგომა ყველა სტუდენტის ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი სტანდარტით უნდა განხორციელდეს. თითოეულ სტუდენტს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მისაღწევად.
4. **ოპტიმალურობის პრინციპი** – ერთი მხრივ შეფასების მეთოდები იმგვარად უნდა იქნას შერჩეული, რომ უზრუნველყოს მაქსიმალურად მცირე დროში, სრულყოფილი ინფორმაციის მიღება შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონის შესახებ, მეორე მხრივ, შეფასების სიხშირე ოპტიმალური უნდა იყოს. ის უნდა განისაზღვროს მოდულის სპეციფიკისა და ჯგუფის თავისებურებების გათვალისწინებით. შემოწმების მაღალი ინტენსივობა პასუხისმგებლობის მქონე სტუდენტებში ნევროზულ მდგომარეობას იწვევს და, შესაბამისად, შემეცნებითი აქტივობის დაქვეითებას, ხოლო დანარჩენებში ინდიფერენტულობის ჩამოყალიბებას.
5. **დიფერენცირების პრინციპი** – შეფასების მეთოდები უნდა შეირჩეს აკადემიური პროგრამის დონისა და თითოეულ დონეზე დასახული პედაგოგიური ამოცანების გათვალისწინებით.
6. **სანდოობის პრინციპი** – შეფასება სტანდარტული კრიტერიუმებით ხორციელდება და რეალურად უნდა ასახავდეს შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივ დონეს.

შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში შეფასების სისტემა ორ ნაწილად იყოფა: შუალედური, ანუ ფორმატული და შემაჯამებელი (სემესტრული), ანუ სუმატური.

ორივე შტოს ხვედრით წილს (წონას) თვით პედაგოგი განსაზღვრავს, იმის მიხედვით, თუ რომელს თვლის უფრო მნიშვნელოვნად სტუდენტის სრულყოფილი ცოდნის წარმოსაჩენად.

მაგალითად, შუალედური შეფასება მთლიანობაში შეიძლება განისაზღვროს 40 %-ით, ან პირიქით. ხშირ შემთხვევაში წონა თანაბრად ნაწილდება – 50/50.

თავის მხრივ, შეფასების ყოველ მეთოდს თავისი ხვედრითი წილი აქვს შუალედური შეფასების მთლიანი წონის ფარგლებში. მაგალითად, თუ შუალედური შეფასების ხვედრითი წილი განსაზღვრულია 50 %-ით, ყოველი კონკრეტული მეთოდის წონა შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: ტესტი 10 %, პრეზენტაცია 20 %, კოლოქვიუმი 10 %, დასწრება-აქტივობა 10 %.

ხვედრითი წილის ამ პროცენტულ მაჩვენებლებს, ქულათა გაანგარიშების საერთო პროცესში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ის ბევრად განაპირობებს შეფასების სიზუსტეს. ამიტომ აუცილებელია, რომ პროცენტული შეფარდება არ იყოს მექანიკურად განსაზღვრული.

შუალედური შეფასების მიზნები

პედაგოგისათვის: გაარკვიოს რამდენად არის მიღწეული სასწავლო მიზანი ამა თუ იმ კონკრეტულ ეტაპზე, კონკრეტული პარამეტრის მიხედვით.

არის თუ არა საფუძველი მოდულის შემდგომი უფრო რთული ამოცანების გადასაწყვეტად.

შედეგების მიხედვით განსაზღვროს მეცადინეობების ძლიერი და სუსტი მხარეები, საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს ტაქტიკა.

სტუდენტისათვის: რეალურად დაინახოს საკუთარი შრომის შედეგები.

გაიაზროს საკუთარი შესაძლებლობები. შედეგების გათვალისწინებით გამოიმუშაოს სწავლის ინდივიდუალური ტაქტიკა.

გაიღრმავოს გონივრული მოტივაცია (ფორმულის – სწავლა ქულებისათვის – საპირისპიროდ).

განიმტკიცოს შეძენილი ცოდნა-ჩვევები.

შუალედური შემოწმება შეიძლება ჩატარდეს არა უმეტეს ოთხჯერ ყოველ სემესტრში.

შემაჯამებელი (სუმატური) შეფასება

თუ შუალედური შემოწმების დროს შესაძლებელია ყოველი კონკრეტული პარამეტრის შესამოწმებლად ცალკეული მეთოდი იქნას შერჩეული (ტესტი, ესსე, კოლოქვიუმი),

გამოცდამ უნდა წარმოაჩინოს სტუდენტის ცოდნა კომპლექსურად ყველა პარამეტრის მიხედვით, ანუ უნდა შეფასდეს რამდენად შეესაბამება სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები მოდულის სილაბუსით განსაზღვრულ მიზნებს და დაგეგმილი შედეგების პარამეტრებს.

ამიტომ ყოველი საგამოცდო ბილეთი უნდა შედგებოდეს იმ ტიპის საკითხებისაგან, რომელიც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალური სიზუსტით შეფასდეს სტუდენტის თეორიული ცოდნის, კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების, ანუ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ხარისხი.

ამის გათვალისწინებით გათავაზობთ ბილეთების შედგენის სავარაუდო სქემას.

პირველი ორი საკითხი შეიძლება გულისხმობდეს ამა თუ იმ თემის გადმოცემა-განხილვას. შემდეგი ერთი ან ორი - უნდა შეიცავდეს პრობლემურ-ანალიტიკურ კითხვას, ბოლო ერთი ან ორი საკითხი კი – სიტუაციურ ამოცანას, კოლიზიას.

პრობლემური კითხვა უნდა გულისხმობდეს მოვლენებისა და ფაქტების შედარებით ანალიზს. მაგალითად, პრობლემური კითხვა შეიძლება ამგვარად აიგოს: „შეადარეთ რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო ხელისუფლება, გამოყავით თავისებურებები“. ან კიდევ „საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია ორპალატიანი პარლამენტი. შეიძლება თუ არა საქართველოს ზედა პალატა დაკომპლექტდეს ისე, როგორც დიდი ბრიტანეთის ზედა პალატა – რატომ?“

სიტუაციური ამოცანა უნდა შეიცავდეს კვაზირეალურ საკითხს. ამ შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გამოავლინოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების უნარი.

თქვენი სურვილისამებრ, გამოცდა შეგიძლიათ ჩაატაროთ წერითი ან ზეპირი ფორმით.

შეფასების მეთოდები*

ობიექტური (მოკლე პასუხიანი) ტესტები

ტესტი ეფექტური საშუალებაა მცირე დროში მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მისაღებად ჯგუფის მიერ მასალის აღქმის გაგების ხარისხის შემოწმებისა და იდენტიფიცირებისათვის (ქულობრივ გამოსახულებაში).

ის ხელს უწყობს სტუდენტთა ოპერატიული აზროვნების, ყურადღების კონცენტრაციის, ინტუიციისა და პროგნოზირების უნარის განვითარებას. მაგრამ, ამასთან ტესტი არ შეიძლება მივიჩნიოთ უნივერსალურ მეთოდად, რადგან, სპეციფიკის გამო, ყოველთვის ვერ იძლევა სრულ სურათს სტუდენტთა ცოდნის დონეზე – ვერ ავლენს მსჯელობის, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების უნარს, არ გამოირჩევა ცოდნის გამოვლენის მაღალი სიზუსტით.

ამდენად, შემოწმების ეს ფორმა ძირითადად უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც საჭიროა ექსპრესინფორმაცია ამა თუ იმ მიკრო ეტაპზე მიღწეული შედეგების შესახებ და განისაზღვროს შემდგომი ეტაპის ამოცანები.

ტესტის ღირებულების განსაზღვრის ძირითადი პარამეტრები:

- ა) **სანდოობა** – ტესტი სანდოდ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ტესტის საშუალებით სტუდენტთა განმეორებითი შემოწმებისას მსგავს შედეგს მივიღებთ.
- ბ) **ვალიდობა ანუ ობიექტურობა** – გულისხმობს - ზომავს თუ არა ტესტი დაგეგმილ პარამეტრებს. ტესტი შეიძლება ვალიდური იყოს ერთი კონკრეტული მიზნისათვის.

როგორ შევადგინოთ ტესტი?

არსებობს ტესტის რამდენიმე სახე. თითოეულის შედგენას თავისი სპეციფიკა აქვს.

1. მრავალჯარიანტული ტესტი

ამ ტიპის ტესტები მრავალი ვარიანტიდან ერთ სწორ პასუხს შეიცავს, რომელიც სტუდენტმა უნდა ამოიცნოს. მაგალითად,

5. ვინ არის „დათა თუთაშხიას“ ავტორი?

- ა) კონსტანტინე გამსახურდია
- ბ) ილია ჭავჭავაძე
- გ) ჭაბუა ამირეჯიბი
- დ) ლევან სანიკიძე

* **შენიშვნა:** ამ პარაგრაფში გამოყენებულია დოცენტ მარინა ჯაფარიძის მასალები ობიექტური ტესტების შესახებ. ასეთი ტესტების შედგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- შეკითხვა ან პრობლემა ნათლად უნდა იქნას ჩამოყალიბებული
- შეკითხვა არ უნდა შეიცავდეს უარყოფით ფორმას
- სწორი პასუხი მუდმივად ერთ პოზიციაში არ უნდა იყოს, მაგალითად, სულ პირველი ან ბოლო სავარაუდო პასუხი

2. ტესტი ალტერნატიული პასუხით

ამ ტიპის ტესტები გულისხმობს შემოთავაზებული მტკიცებულების აღიარებას ან უარყოფას. სტუდენტმა უნდა აღნიშნოს – *სწორი / მცდარი* ან *დიახ / არა*. მაგალითად, „საქართველომ ქრისტიანობა მიიღო 521 წელს. *სწორი / მცდარი.*“

ამ ტიპის ტესტში გასათვალისწინებელია შემდეგი:

- კითხვაში მოცემული მსჯელობა უნდა იყოს სწორი ან მცდარი
- კითხვები არ უნდა იყოს ორაზროვანი
- კითხვები არ უნდა ატარებდეს ირელევანტურ და ტრივიალურ ხასიათს
- მოცემული მსჯელობა არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული უარყოფითი ფორმით

- მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს სახელმძღვანელოს ენა
- მტკიცებულების მოდელები ნაკლებად უნდა შეიცავდეს სიტყვებს - „ყოველთვის“, „არასდროს“

3. ტესტი დასაკავშირებელი სიტყვებით

ასეთ ტესტებში მოცემულია მითითება თუ რა უნდა დააკავშირონ ერთმანეთთან. მაგალითად, ქვეყნები დააწყვილეთ მათ დედაქალაქებთან

- | | |
|------------|---------------|
| 2. პარიზი | 1. იაპონია |
| 4. თეირანი | 2. საფრანგეთი |
| 1. ტოკიო | 3. რუსეთი |
| 5. მადრიდი | 4. ირანი |
| 3. მოსკოვი | 5. ესპანეთი |

ამ ტიპის ტესტებში გასათვალისწინებელია შემდეგი:

- მითითება უნდა იყოს გასაგები. სტუდენტებმა ნათლად უნდა გაიაზრონ რა მოეთხოვებათ
- დასაკავშირებელი სიტყვები მართლაც ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს
- ჩამონათვალი არ უნდა იყოს მოკლე, რათა ავიცილოთ შემთხვევითი სწორი პასუხის აღნიშვნა

4. შესავსები ტესტი

მოცემული საკითხები გარკვეული ინფორმაციის ჩაწერას, პასუხს ან შეცვლას მოითხოვს - ტესტში

მაგალითად,

1. ვინ არის ამერიკის პრეზიდენტი _____ (ჩასვით)
2. საქართველოს ბოლო არჩევნები ჩატარდა _____ (ჩასვით)

ამ ტესტის შედგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი

- უნდა გამოირიცხოს სახელმძღვანელოს ენა
- შეკითხვები უნდა გულისხმობდეს ზუსტ პასუხებს

5. ტესტი-კითხვარი

ყველა მოდული ან ყველა თემა არ იძლევა ობიექტური ტესტის შედგენის საშუალებას. ამიტომ, თუ პედაგოგს სურს ტესტის ეფექტის მიღება (შეფასების თვალსაზრისით) რეკომენდირებულია ე. წ. ტესტი-კითხვარის გამოყენება.

კითხვები არ შეიცავს ალტერნატიულ პასუხებს, მაგრამ მოითხოვს ლაკონური პასუხების გაცემას დასმულ შეკითხვებზე.

ამ ტიპის ტესტები უფრო მეტად ამჟღავნებს სტუდენტის პოტენციალს, ვიდრე ობიექტური ტესტები, რადგან არ გვაძლევს მზა პასუხებიდან არჩევის საშუალებას. სტუდენტმა კითხვაზე საპასუხოდ ადეკვატური ინფორმაცია უნდა გადმოსცეს, ამასთან ლაკონურად სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

6. ტესტი-დავალება

შეფასების ეს მეთოდი ტესტის სახეშეცვლილი ფორმაა, რომელიც ტესტი-კითხვარისაგან განსხვავებით შედგება არა კითხვებისაგან, არამედ დავალებებისაგან. მაგალითად, გაიხსენეთ აღწერეთ და სხვა.

შეფასების დროს არ არის აუცილებელი გამოყენებულ იქნას ტესტის მხოლოდ ერთი სახეობა. სავსებით შესაძლებელია კომბინირებული ტესტების შედგენა, მათ შორის, ობიექტურ ტესტებთან ინტეგრაციაში.

7. ტესტის დაგეგმვის სქემა

1. ტესტირების მიზნის განსაზღვრა
2. ტესტის სპეციფიკის განსაზღვრა
3. შესატყვისი პუნქტების შერჩევა
4. ცალკეული პუნქტების მომზადება
5. ტესტის შედგენა
6. ტესტის შემოწმება
7. ტესტის შეფასება
8. შედეგების გამოყენება